N 92 / 02.06.2023

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ გივი მოდებაძეს

<u>**არასამთავრობო ორგანიზაციების**</u>

1. **„მწვანე ალტერნატივის“** (ს/ნ 204952676)

მის: ქ. თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართული;

2. **„საზოგადოებრივი მოძრაობა მომავლის ჭიათურის“** (ს/ნ 415598794)

მის: ქალაქი ჭიათურა, ყაზბეგი ქ, N1, ბინა 30;

3. **სამოქალაქო აქტივობების ცენტრის** (ს/ნ 427716625)

მის: ქ. თბილისი, ბეჟან კალანდაძის N3, სართ 3, ბინა 4

განცხადება

- **ფაქტობრივი მდგომარეობა**

ჭიათურის მუნიციპალიტეტის არაერთ სოფელში მცხოვრები მოსახლეობა ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დგას. განადგურებული და უკიდურესად დაზიანებული გარემო საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ეს საფრთხე გამოწვეულია შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ მიერ, მანგანუმის მოპოვებისა და გამდიდრებისათვის მიმდინარე საქმიანობით.

შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ 2006 წლიდან კრიტიკულად არღვევს წიაღისეულის მოპოვებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებსა და სამთო-მოპოვებით წესებს. 2013-2017 წლებში კომპანიის მიერ გარემოსთვის მიყენებული ზიანი 416 მილიონ ლარად შეფასდა. ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან აცილების საბაბით, 2017 წელს, სახელმწიფომ კომპანიაში სპეციალური მმართველი შეიყვანა, რის შემდეგაც, დაკისრებული ჯარიმები, გაუმჭვირვალედ, თითქმის მთლიანად ჩამოაწერეს. საწარმოში სახელმწიფო სპეციალური მართვის რეჟიმი დღემდე გრძელდება, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 16 მაისის განჩინების თანახმად, 2025 წლის 9 მაისის ჩათვლით. ამ პერიოდში, კომპანიამ ღია კარიერული წესით მადნის მოპოვების ფართობი გააორმაგა, რამაც პირდაპირპროპორციულად გაზარდა ადგილობრივ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მიყენებული ზიანი.

ლიცენზიის მიღებიდან 15 წლის შემდეგ, კომპანიის საქმიანობის შედეგად შეუქცევადი ზიანის წინაშე დგას არაერთი სოფელი - ხალიფაური, თაბაგრები, მღვიმევი, დარკვეთი, ითხვისი, რგანი და სხვა. ამ დასახლებებში ზოგიერთ უბანთან, სადაც უკიდურესად მძიმე პირობების მიუხედავად, ხალხი დღემდე ცხოვრობს, ავტომობილით მისასვლელი უსაფრთხო გზაც აღარ არსებობს. მანგანუმის ამოსაღებად ტერიტორიების მასობრივად გადათხრის შედეგად, სოფლების შიდა გზები იმდენად არის დაზიანებული, რომ ცუდი ამინდის შემდეგ ფეხით გადაადგილებაც კი სახიფათოა. დასახლებულ პუნქტებში, საცხოვრებელი სახლებიდან რამდენიმე მეტრში მიმდებარე ტერიტორიებზე, შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ მიერ მიტოვებული უზარმაზარი თხრილები წყლით არის სავსე. ე.წ. კარიერების სიახლოვეს ხშირია მიწის ჩაქცევები. დღის ბნელ მონაკვეთში ტერიტორია არ არის განათებული. ზუსტად ასეთ შემთხვევას ემსხვერპლა 2020 წელს, სოფელ დარკვეთში, 30 წლის გიორგი ღუღუნიშვილი.

ადრე არსებული შიდა სასოფლო გზების უმეტესობა სანაყაროდ არის ქცეული, რაც ხელს უწყობს მეწყრული მოვლენების განვითარებას და საფრთხეს უქმნის ადგილობრივი მცხოვრებლების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მათ შორის, ბავშვების, რომლებსაც ხალიფაურში დაახლოებით 3 კილომეტრის გავლა ფეხით უწევთ, რომ სავალდებულო სასკოლო განათლების მისაღებად სკოლაში იარონ.

ხელოვნურად მოწყობილი საფეხმავლო ბილიკები სამრეწველო ნარჩენებზე გადის, სადაც განსაკუთრებით მაღალი ტენიანობისას ხანგრძლივ უამინდობაში მძაფრი სუნი დგას. სავარაუდოდ, ნიადაგის ქვედა ფენების ზემოთ მოხვედრის შემდეგ, მძიმე მეტალების სულფიდები თანდათანობით განიცდიან ჰიდროლიზს და გამოიყოფა გოგირდწყალბადი, რომელიც სუნს განაპირობებს.

ხალიფაურსა და თაბაგრებში არაერთ უბნამდე სამანქანო გზების ფაქტობრივად არქონის გამო, ფიზიკურად შეუძლებელია სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სახანძრო და სამაშველო ბრიგადების გადაადგილება დანიშნულების ადგილებამდე. შესაბამისად, ამ უბნებში მუდმივად თუ სეზონურად მცხოვრებ, გარკვეული სამუშაოების ჩასატარებლად მოკლე ვადით თუ ხანგრძლივად მყოფ ადამიანებს საჭიროების შემთხვევაში გადაუდებელი დახმარების სახელმწიფო სერვისებზე ხელი არ მიუწვდებათ.

- **სამართლებრივი არგუმენტაცია**

საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, „ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება, ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე. გარემოსდაცვითი საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით“. კონსტიტუციის 29-ე მუხლის ვიტალურ შინაარსში მოიაზრება ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება; კონსტიტუციის 29-ე მუხლის არავიტალურ შინაარსში კი მოიაზრება ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცეებით სარგებლობის უფლება, როგორებიცაა ქუჩა, გზა, მაგისტრალი, ჩიხი, ტროტუარი, გაზონი, ბაღი, სკვერი, წყლის სარკე, ლანდშაფტი, საზოგადოებრივი გზა და სხვა მსგავსი სივრცეები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გაცხადებული აქვს[1], რომ „გარემოსდაცვითი ხასიათის სპეციალური უფლებების კონსტიტუციურ-სამართლებრივ სივრცეში მოქცევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფოს ანგარიშვალდებულების..., საზოგადოებრივი მონაწილეობისა და სხვა გარემოსდაცვითი მექანიზმების გამართული, ეფექტური მუშაობისა და კოორდინაციისთვის“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების[2] თანახმად, „საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, რაც გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები მხოლოდ გარემოს დაცვისკენ მიმართულ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპებად იქნას განხილული.“

გადაწყვეტილებაში ასევე ნათქვამია, რომ „საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შინაარსის, დანიშნულებისა და სულისკვეთების გათვალისწინებით, უდავოა, რომ კონსტიტუცია ესწრაფვის ჯანსაღ გარემოზე უფლების მაღალი სტანდარტის ჩამოყალიბებას და მას ადამიანის ძირითად უფლებად განიხილავს“. გადაწყვეტილებაში ასევე ვკითხულობთ: „ეკოლოგიური უფლებების კონსტიტუციურ-სამართლებრივ სივრცეში მოქცევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფოს ანგარიშვალდებულების, გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საზოგადოებრივი მონაწილეობისა და სხვა გარემოსდაცვითი მექანიზმების გამართული, ეფექტური მუშაობისა და კოორდინაციისათვის. ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების დადგენით, საქართველოს კონსტიტუცია ადასტურებს და განამტკიცებს კონსტიტუციურ ღირებულებათა წესრიგში მდგრადი ეკოლოგიური განვითარების განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ბუნებაზე ზემოქმედების შეზღუდვასთან დაკავშირებით, 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების რეგულირების სფერო შესაძლებელია წარმოადგენდეს არა მხოლოდ უსაფრთხო გარემოსთვის დღეს არსებული (გარემოს სტატუსკვოსთვის შემცველი) საფრთხეების თავიდან აცილებას, არამედ, სამომავლო საფრთხეებისგან თავის დაცვასაც“.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომის მიხედვით, გარემოს დაბინძურება შეიძლება მოექცეს კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა) დაცვის ქვეშ[3].

თუ გარემოს დაბინძურება იწვევს სასიკვდილო შედეგს კონკრეტული პირების მიმართ ან შეიცავს სიცოცხლისთვის საფრთხის შემქმნელ რისკს, მაშინ სახელმწიფო შეიძლება პასუხისმგებელი იყოს კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევისთვისაც[4]. იგივე მიდგომა აქვს არჩეული გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტს, რომელმაც საქმეზე[5] ბირთვული ნარჩენების წყალში მაღალი წნევით ჩაშვება მიიჩნია სიცოცხლისთვის საფრთხის შემქმნელად, რაც დიდი რისკის ქვეშ აყენებდა

---

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის N 2/1/524 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[3] (Leon and Agnieszak Kania v. Poland, 2009 წლის 21 ივილსი; Dubetska and others v. Ukraine, 2011 წლის 10 თებერვალი; Flamenbaum a.o. v France, 2013 წლის 13 იანვარი).

[4] (Budayeva and Others vs. Russia, 2008 წლის 20 მარტი).

[5] EHP (on behalf of Port Hope Environmental Group and Present and future citizens of Port Hope, Ontario, Canada) v Canada (Comunidad Yanomami, Case 7615, Inter-Am. C.H.R., 1985 წლის 5 მარტი);

კონკრეტული თემის წევრებს, რომლებიც მახლობლად ცხოვრობდნენ. ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულმა სასამართლომ კი ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობა დასახლებულ პუნქტთან ახლოს მიიჩნია სიცოცხლის უფლების ხელყოფად[6].

ორჰუსის კონვენცია პირდაპირ მითითებებს აკეთებს და უშუალოდ არეგულირებს ჯანსაღ გარემოში ცხოვრების საკითხს.

ორჰუსის კონვენციის პირველ და მე-6 მუხლებში წერია სახელმწიფოს ვალდებულების შესახებ, უზრუნველყოს მოქალაქეთა ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების რეალიზება მათი ინფორმირების გზით. აღნიშნული კონვენციის ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას სახელმწიფოების მიმართ წარმოადგენს ის, რომ გადაწყვეტილებები, რომლებმაც შესაძლოა, შელახონ ადამიანების ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება, მიღებულ იქნას მხოლოდ მათი სათანადო ინფორმირებულობით, ჩართულობითა და თანხმობით.

მითითებულ სოფლებში არსებული მდგომარეობა (გარემოს დაბინძურება და გზის არარსებობა), ერთმნიშვნელოვნად უნდა შეფასდეს, საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მოთხოვნების უხეშ დარღვევად, ხოლო ევროპული სასამართლოს მიდგომებით, კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლების) და მე-8 (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის) დარღვევად.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, „ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლება“.

სახელმწიფომ უნდა შექმნას მიმოსვლის თავისუფლების უზრუნველყოფის სათანადო პირობები შეზღუდული შესაძლებლობის პირებისთვისაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სათანადო გზის არ არსებობა აფერხებს ადამიანთა თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობას, რითაც ირღვევა საკანონმდებლო მოთხოვნები.

- **ჯანდაცვის უფლება**

რადგანაც სოფელ ხალიფაურსა და თაბაგრებში მცხოვრებლებს ხელი არ მიუწვდებათ გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისებზე, მიგვაჩნია, რომ ადგილი აქვს ჯამრთელობის დაცვის უფლების დარღვევას.

ჯანმრთელობის დაცვის უფლება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას მოსახლეობა უზრუნველყოს აუცილებელი სამედიცინო სერვისებით, მიუხედავად მათი გადახდისუნარიანობისა და არსებული პირობებისა. ჯანმრთელობის დაცვის უფლება სახელმწიფოსგან მოითხოვს ისეთი პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებას, რომლითაც მიიღწევა ყველასათვის ხელმისაწვდომი ჯანდაცვა, მათ შორის, გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარება. აღნიშნულში ასევე მოიაზრება, სახელმწიფოს მხრიდან სათანადო გზის და სერვისის შექმნა, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისთვის დროული და სრულყოფილი გადაუდებელი დახმარების მიწოდებას.

1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ითვალისწინებს ჯანმრთელობის უფლებას, როგორც ღირსეული ცხოვრების უფლების ყველაზე

მნიშვნელოვან ასპექტს (მუხლი 25). ჯანმრთელობის უფლების ყველაზე ფართოდ გამოყენებადი და ყოვლისმომცველი განმარტება მოცემულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტში (1966 წ.). პაქტის მე-12 მუხლის მიხედვით, „მოცემული პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ადამიანის უფლებას ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტზე[7].

ჯანმრთელობის უფლება არ ნიშნავს ჯანმრთელად ყოფნის უფლებას და იმას, რომ ღარიბი ქვეყნის მთავრობები ვალდებულნი არიან შექმნან მაღალტექნოლოგიური ძვირადღირებული სამედიცინო სერვისები, რომლისთვისაც მათ არ აქვთ სათანადო რესურსები.

ჯანმრთელობის დაცვა, როგორც უფლება, არ ნიშნავს „უფასო“ მომსახურებას ან სამედიცინო ორგანიზაციების მიერ მომსახურებების ქველმოქმედების სახით მიწოდებას ან სახელმწიფოს მიერ აბსოლუტურად ყველა სერვისის უზრუნველყოფას. ჯანმრთელობის დაცვის უფლება ნიშნავს, რომ სახელმწიფო ვალდებულია ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რათა მოსახლეობა უზრუნველყოს აუცილებელი სამედიცინო სერვისებით, მიუხედავად მათი გადახდისუნარიანობისა და არსებული პირობებისა/დაბრკოლებებისა.

საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის თანახმად - 1. მოქალაქის უფლება ხელმისაწვდომ და ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე უზრუნველყოფილია კანონით. 2. სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას და სამედიცინო მომსახურების ხარისხს, არეგულირებს ფარმაცევტულ წარმოებას და ფარმაცევტული საშუალებების მიმოქცევას.

აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ სათანადო გზის არ არსებობა, იწვევს მოსახლეობისთვის ჯამრთელობის უფლების შეზღუდვას, ხოლო სახელმწიფოს, როგორც შიდა, ასევე, საერთაშორისო აქტებით აღებული აქვს ვალდებულება, მოსახლეობას მიაწოდოს დროული და სათანადო გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარება და აღნიშნული უფლების შეზღუდვის საფუძველი ვერ გახდება უგზოობა.

- **ადგილობრივი თვითმმართველობის ვალდებულება**

მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლით. ამ მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებია ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და დგომის/გაჩერების წესების რეგულირება.

მუნიციპალიტეტი ვალდებულია, უმოკლეს ვადებში გადადგას ქმედითი ნაბიჯები, რომლებიც მოსახლეობას სათანადო გზით უზრუნველყოფს და არ მოხდება მათი სხვა ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვა.

- **დისკრიმინაცია**

---

[7] გაერთა გენერალური ასამბლეა, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი,16/12/1966 წ, ძალაში შევიდა 3/01/1976

როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები განმარტავენ, მათ სხვადასხვა ფორმით, არაერთხელ მიმართეს ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიას, საკრებულოს და სათანადო გზის მოწყობა მოითხოვეს, რაზედაც ადმინისტრაციული ორგანოდან/ორგანოს წარმომადგენლებისგან უარი მიიღეს იმ მითითებით, რომ „ვიდრე კომპანია კონკრეტულ სოფლებში მანგანუმის მოპოვებას არ დაასრულებს, გზა ვერ გაკეთდება“.

მიუხედავად იმისა, რომ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფლებში - ხალიფაურსა და თაბაგრებში მცხოვრები მოსახლეობა, სადაც შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ მადანს მოიპოვებს, უფლებრივად და მოთხოვნილებებით არაფრით განსხვავდება ამავე მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისგან, სადაც შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ მადანს არ მოიპოვებს მათ (ხალიფაურისა და თაბაგრების მცხოვრებლებს) მაინც არ აქვთ წვდომა სათანადო გზასთან, რაც აშკარად არათანაბარ მდგომარეობაში აყენებთ ჭიათურის მუნიციპალიტეტში არსებულ იმ დასახლებებთან (ქალაქი, სოფელი და ა.შ) მიმართებაში, სადაც „ჯორჯიან მანგანეზი“ არ საქმიანობს. ეს გამოიხატება იმაში, რომ მათ (დასახლებებს სადაც „ჯორჯიან მანგანეზი“ არ საქმიანობს) აქვთ გზა და დაზიანების შემთხვევაში გზას მუნიციპალიტეტი აღადგენს.

მოცემულ შემთხვევაში, თქვენს (ჭიათურის მუნიციპალიტეტის) მიერ, ადგილი აქვს დასახლებული ტერიტორიების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებას და დისკრიმინაციას, რაც მოქმედი კანონმდებლობით დაუშვებელია.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის თანახმად „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ელი მუხლის თანახმად, მისი მიზანია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად“. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად. ამავე კანონის მე-3 და მე-4 მუხლების თანახმად, „ამ კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში,

მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქმედებები არ რეგულირდება სხვა სამართლებრივი აქტით, რომელიც შეესაბამება ამ კანონის მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებს. დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ნებისმიერი დაწესებულება ვალდებულია: ა) თავისი საქმიანობა, აგრეთვე სამართლებრივი აქტები და შიდა რეგულაციები, თუ ისინი არსებობს, შეუსაბამოს ამ კანონსა და სხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას; ბ) სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება მოახდინოს.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად, „კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნის განურჩევლად“.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-12 ოქმის 1-ელი მუხლის თანახმად, „კანონით დადგენილი ნებისმიერი უფლებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნის განურჩევლად. ამასთან, დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების მხრიდან ვინმეს დისკრიმინაცია პირველ პუნქტში აღნიშნული რომელიმე საფუძვლით“.

აღნიშნული მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას ზემოთ აღნიშნული საფუძვლებით, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ, არ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის არათანაზომიერია.

საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის თანახმადაც, დისკრიმინაციის ელემენტი არ არის ნებისმიერი განსხვავებული მოპყრობა, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც პირს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს[8]. ამასთან, დისკრიმინაციის მეორე ელემენტიდან გამომდინარე, პირის არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენება უნდა შეფასდეს არა ზოგადად, არამედ ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ, ანუ არსებითად თანასწორ სიტუაციაში მყოფ პირებთან შედარებით. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვით, დისკრიმინაცია არის პირის მიმართ ისეთი განსხვავებული მოპყრობა, რომელიც მას არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს არსებითად თანასწორ მდგომარეობაში მყოფ პირებთან შედარებით და ეს მოპყრობა არ არის სამართლებრივად გამართლებული, ანუ არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, ან ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალებები არ არის აუცილებელი და თანაზომიერი[9].

აღნიშნული, ასევე, ასახულია საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში. საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელიც ყველა სახის

---

[8] Handbook on European non-discrimination law, (European Union Agency for Fundamental Rights, Council of Europe, 2010), 22.).

[9] (OSCE/ODIHR Overview of Anti-Discrimination Legislation in the Western Balkans (Warsaw, 28 March 2014).

დისკრიმინაციას კრძალავს, ადგენს შემთხვევებს, როცა განსხვავებული მოპყრობა დასაშვებია. კერძოდ, ამ კანონის მე-2 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, განსხვავებული მოპყრობა, პირობების შექმნა ან/და მდგომარეობა დასაშვებია თუ ორი წინაპირობა არის დაკმაყოფილებული: არსებობს სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესი და ჩარევა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. შესაბამისად, კანონმდებლის მიერ, პირთა დიფერენციაციისას, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკის შესაბამისად, უნდა დასაბუთდეს პირთა დიფერენციაციისთვის არსებობს თუ არა სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესი. განსხვავებული მოპყრობა და შესადარებელი კატეგორია ერთად უნდა იქნეს განხილული, რადგან განსხვავებული მოპყრობა არსებობს არა აბსტრაქტულად, არამედ ვიღაცასთან შედარებით. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს პირთა წრე, ვისთან შედარებითაც ხდება განსხვავებული მოპყრობა. აუცილებელია, შესადარებელ პირთა წრე იყოს მკაცრად შემოსაზღვრული, ძალიან კონკრეტული საერთო ნიშნის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც პირები არიან არა უბრალოდ თანასწორ მდგომარეობაში, არამედ მნიშვნელოვნად თანასწორ ან ანალოგიურ მდგომარეობაში[10]. ყველა ზემოთ განხილული ელემენტის კუმულაციური არსებობა აუცილებელია იმისათვის, რომ განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულად ჩაითვალოს, თუმცა დისკრიმინაცია, როგორც სამართლებრივი კატეგორია, სახეზეა მხოლოდ მაშინ თუ ამგვარი მოპყრობა არ არის გამართლებული. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, განსხვავებული მოპყრობა არ ჩაითვლება დისკრიმინაციად, თუ მას ექნება ობიექტური და გონივრული გამართლება[11]. ობიექტურობა და გონივრულობა ნამდვილად მისაღები კრიტერიუმებია ქმედების გასამართლებლად, თუმცა შეფასებითია თუ რა ჩაითვლება ობიექტურად და გონივრულად. ამიტომ, ადამიანის უფლებათა სასამართლომ დააზუსტა, რომ განსხვავებული მოპყრობა ობიექტურად გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს ლეგიტიმური მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალებები აუცილებელი და პროპორციულია[12].

თუმცა, მხოლოდ ლეგიტიმური მიზნის არსებობა სადავო ნორმას კონსტიტუციურად ვერ აქცევს. არამედ, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს აღნიშნული, „თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“[13].

აღსანიშნავია, რომ არ არსებობს მუნიციპალიტეტის მხრიდან რაიმე ობიექტური მიზეზი, რაც გაამართლებდა 10 წლის განმავლობაში, მოსახლეობისთვის სათანადო გზის არმოწყობას.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მუნიციპალიტეტში მცხოვრებ თითოეულ მოსახლეს თანაბრად ეკუთვნის. ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებაც ყველა ადამიანისთვის გარანტირებულია. სათანადო გზის მოწყობა, ხელს არ შეუშლის კომპანიის კანონიერ

---

[10] Burden v. the United Kingdom, App. no. 13378/05 (ECtHR [GC], 29 April 2008).

[11] (Burden v. The United Kingdom, App. no. 13378/05 (ECtHR [GC], 29 April 2008).

[12] (D.H. and Others v. the Czech Republic, App. no. 57325/00 (ECtHR [GC], 13 November 2007).

[13] (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60.).

საქმიანობას. ნათელია, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან, მასზე დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობა, არ ემსახურება რაიმე ლეგიტიმური მიზნის მიღწევას.

ყოველივე განხილულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს დასახლებული ტერიტორიები სათანადო მისასვლელი გზებით, რათა დაცულ იქნას ყველა იმ პირის უფლება, რომელიც ამ ტერიტორიებზე ცხოვრობს და იმყოფება.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მხრიდან, ადგილი აქვს ხალიფაურსა და თაბაგრებში მცხოვრები მოსახლეობის ტერიტორიული ნიშნით პირდაპირ დისკრიმინაციას (რადგანაც ისინი ცხოვრობენ იმ ტერიტორიაზე, სადაც კომპანია მადანს მოიპოვებს).

მოთხოვნა:

გთხოვთ, შეასრულოთ კანონმდებლობით თქვენზე (ადგილობრივ თვითმმართველობაზე) დაკისრებული ვალდებულება და ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფლებში ხალიფაურსა და თაბაგრებში მცხოვრები თითოეული მოსახლე უზრუნველყოთ სათანადო გზით, რაც უზრუნველყოფს მათ უსაფრთხო გადაადგილებას და არ იქნება გარემოს დაბინძურების დამატებითი წყარო.

გთხოვთ, წერილობით გვაცნობოთ რეაგირების შესახებ.

პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე

„მწვანე ალტერნატივის“ აღმასრულებელი დირექტორი

Nino Gujaraidze

Digitally signed by Nino Gujaraidze
Date: 2023.06.02

ნოდარ ჩაჩანიძე

„საზოგადოებრივი მოძრაობა მომავლის ჭიათურის“ თავმჯდომარე

eSigned by:
ნოდარ ჩაჩანიძე: 275a7603-3f3b-47c3-a647-64c...
Certified by Signify

გელა მთივლიშვილი

სამოქალაქო აქტივობების ცენტრის თავმჯდომარე

Gela Mtivlishvili 13001008336

Digitally signed by Gela Mtivlishvili
Date: 2023.06.02 15:23:43